ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5270550

ნომერი: AR1801167

თარიღი : 30.01.2021

გაცემის თარიღი : 01.02.2021

გაცნობის თარიღი : 02.02.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , თევდორე მღვდლის ქუჩა N55;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ელენე ხიდეშელი პ/ნ 01029007258
- საქართველო, ქალაქი თბილისი, მოსკოვის გამზირი, N 36ა, ბინა 34

ორგანიზაცია:

- შპს "ლუქსი-2004" კოდი: 202230102

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის

ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:
იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხზე, საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი _
- როგორც გეცნობათ ვერ დგინდება არსებული საჩრდილობლის (რომლის გამოყენებასაც გეგმავთ) კანონიერების საკითხი, არსებული კანონმდებლობის მიხედვით უკანონო მიშენების შემდგომ განვითარებაზე სამსახური ნებართვას ვერ გასცემს, იმისათვის რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საჭიროა წარმოადგინოთ მშენებლობის განხორციელების სამართლებრივი საფუძველი - შესაბამისი დოკუმენტაცია, მშენებლობის ნებართვის შესაბამისი აქტები ან ლეგალიზების აქტი, კანონიერების დამადასტურებელ სხვა საბუთებთან ერთად.
-მოთხოვნის შინაარსი -> ..მოთხოვნის ტექსტი: დააზუსტეთ საპროექტო ობიექტის ფუნქცია.
-არსებული სიტუაციის ფოტოსურათები -> ..ფოტოსურათების pdf ფაილი : წარმოსადგენია განახლებული, დღეის მდგომარეობით არსებული სიტუაციის ფოტოსურათები.
-ფოტომონტაჟი -> ..ფოტომონტაჟის pdf ფაილი : დაიტანეთ სამშენებლო მასალის შესაბამისი ექსპლიკაცია. (ხის მასალის გამოყენების შემთხვევაში აღნიშნული უნდა დამუშავდეს ცეცხლმედეგი ხსნარით).
-"ფაილის მიმაგრება -> "ფაილი მიამაგრეთ სურვილის შემთხვევაში: საკადასტრო გეგმაზე (და ყველა შესაბამის საპროექტო დოკუმენტაციაზე) საპროექტო შენობის განთავსება წარმოადგინეთ ცალკე, არსებული შენობისგან დამოუკიდებლად და მიუთითეთ შესაბამისი დაშორების მანძილები.
-სქემაზე დაიტანეთ შენობის ღერძულა ზომებიც და გაითვალისწინეთ - I კლასს განეკუთვნება: შენობა-ნაგებობა, რომლის მალის, ფერმის ან სხვა კონსტრუქციული ელემენტის სიგრძე ნაკლები ან ტოლია 5 მ-ის.
-დამატებით წარმოსადგენია „თბილისი ენერჯის“ მიერ დამოწმებული გრაფიკული მასალა, ხაზობრივი ნაგებობის გადატანის დამოწმებული პროექტი.
-წარმოდგენილ იქნეს იპოთეკარის თანხმობაში მითითებული წერილი ვინაიდან თანხმობა იპოთეკარს სწორედ აღნიშნულ წერილში წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე აქვს გაცემული. ასევე წარმოდგენილ იქნეს იპოთეკარის თანხმობაზე ხელმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.
აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.
თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.